

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 24

ქ.თბილისი

2021 წლის 2 თებერვალი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 2 თებერვალს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ნ. გალუზინსკაიას ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის კ. გელოზიას საითინგი და მოწოდებული ინფორმაცია, გამოკითხა ქედის „ფირალები“-ს მწვრთნელი სერგო მოქია, ამა წლის 31 იანვარს, რეგიონული ლიგის მატჩზე, თბ „რაშები“-სა და ქედას „ფირალები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თამაშის მე-60 წუთზე, ქედას „ფირალები“-ს მოთამაშეების მიზეზით (უარი თამაშის გაგრძელებაზე), მატჩი ჩაიშალა (შეწყდა).

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.18, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ს 1.17 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქედას „ფირალებს“ ჩაეთვალოს წაგება, დაჯარიმდეს 2000(ორი ათასი) ლარით, ხოლო მოწინააღმდეგე გუნდს ჩაეთვალოს ბონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი #1-ის 1.17 პუნქტი და კლუბ ქედას „ფირალებს“ რეგიონულ ლიგაში დააკლდება 10 (ათი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/